პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი, ____ ივნისი, 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში მდებარე N47 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში მდებარე 29,15 კვმ ფართის N47 ბინა (ს/კ № 05.24.08.144.01.047).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბინის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული ბინის (ს.კ. 05.24.08.144.01.047) „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შპს „ბათუმი გარდენ ქიი“-ისათვის (ს/ნ 446986762) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ კომპანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადმოსცემს 37,895 კვ.მ საცხოვრებელ ფართს (ბინას), რომლის განლაგება და მდგომარეობა განისაზღვრება ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმების შემდეგ, რაზედაც უნდა შედგეს ცალკე შეთანხმება;

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ბინაზე (ს.კ. №05.24.08.144.01.047) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა და ხელშეკრულებაში ვალდებულების რეგისტრაცია.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ბინაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ბინის საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია და განკარგულებით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში მდებარე N47 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“-ის (ს.ნ. 446986762) 2024 წლის 20 მაისის და 06 ივნისის (N19-1424141742-14 და N10/1424158281-14) განცხადებები, რომლითაც კომპანია აცხადებს რომ შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“ წარმოადგენს სამშენებლო - დეველოპერულ კომპანიას, საქმიანობას ახორციელებს აჭარის რეგიონში. კომპანიას დაგეგმილი აქვს სამშენებლო პროექტების განხორციელება, რომელიც გააძლიერებს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს. ამასთან, შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“ დაინტერესებულია ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განახორციელოს ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში მდებარე ავარიული შენობის (ს.კ. 05.24.08.144) ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსით ჩანაცვლება. ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში მდებარე 29,15 კვ.მ ფართის N47 ბინა (ს.კ. 05.24.08.144.01.047) კი რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. კომპანია N05.24.08.14.01.047 საკადასტრო კოდით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“-სათვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს სთავაზობს ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში 37,895 კვ.მ. ბინას, რომლის განლაგება და მდგომარეობა განისაზღვრება ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმების შემდეგ, რაზედაც უნდა შედგეს ცალკე შეთანხმება.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არ არის უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადასცეს ფიზიკურ/იურიდიულ პირებს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასა და იქ მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში, მდებარე 29,15 კვ.მ ფართის N47 ბინა (ს.კ. 05.24.08.144.01.047) მიზანშეწონილია საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. შემდგომში, ზემოთ მითითებული პირობებით, შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N29ა-ში, მდებარე 29,15 კვ.მ ფართის N47 ბინის (ს.კ. 05.24.08.144.01.047) ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით შპს ,,ბათუმი გარდენ ქიი”-ს საკუთრებაში გადაცემის მიზნით იმ

პირობით, რომ კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ ახალ აშენებულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადმოსცემს 37,895 კვ.მ საცხოვრებელ ფართს (ბინას), რომლის განლაგება და მდგომარეობა განისაზღვრება ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმების შემდეგ, რაზედაც უნდა შედგეს ცალკე შეთანხმება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**